წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 3 შაური.   ტელეფონი № 76.   კვირა ნოემბრის 26—(8) 1917

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
თვიურათ . . . . 3 მან.
ოთხი თვით . . . . 1-[illegible]
ცალკე ნუმერი . . . . 3 შაური.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტის ღირს . . . [illegible]
უკანასკნელ გვერდზე . . . [illegible]
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 1 საათ. 8 მ. 1 საათის შემდეგ 10 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 185   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 185

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განცხადება.

კვირას, ნოემბრის 26-ს გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში (თფილისის ქუჩა სახლი მიქელაძისა) დანიშნულია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების სტუდენტთა (ორივე სქესისა)

## სასწრაფო სხდომა

ფრიად საჭირო კითხვების გადასაჭრელათ. კრებაზე დასწრება სავალდებულოა.

კრება დაიწყება დილის 11 საათიდან.

## განცხადება

ქ. ქუთაისის ქალაქის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ ვისაც სურს ჩამოიტანოს სოფლებიდან ქ. ქუთაისში სიმინდი, სიმინდის ფქვილი და სხვა სურსათი კეთილ ინებოს და შემობრძანდენ ამავე გამგეობის დარბაზში მოსალაპარაკებლათ დილის 10 - 1 საათამდის

ქალაქის სასურსათო გამგეობა.

## ერთ რამეზე.

დღეს იქნება, თუ ხვალ ომს ბოლო მოეღება.

გვაწამა ომის ხანგრძლივმა წარმოებამ, მაგრამ უფრო დიდ უბედურებას მოველით ომის დასასრულისგან.

გაიხსენეთ ერთ-ერთ გენერლის სიტყვა მოსკოვის სახელმწიფო თათბირზე რომ წარმოსთქვა: ზამთარში დატრიალდება ტრაგედია. „დეზორგანიზაციული ლაშქარი, რომელიც გუნდ-გუნდათ გამორბის ბრძოლის ველიდან მოედება თავის ქვეყანას და წალეკავს“.

არცერთ ომის დროს დემობილიზაცია უმტკივნეულოთ არ ჩაუვლია.

ბალკანეთის ომის დროს, თრაკიიდან უკან დახეული რაზმი სტამბოლის გარშემო ადგილებს მოედო და გაანადგურა.

ოსმალეთში დემობილიზაციის გამო 1913 წ., იანვრის პირველს 201 ოფიცერი დაითხოვეს, რომელნიც ნაწყენი იყვენ და ყაჩაღათ გაიჭრენ.

როგორც მოგეხსენებათ, ყოველ ლაშქრის დათხოვნას თან სდევს დიდი გამწვავება, საფრთხე, მაგრამ ამ მხრით ჩვენ ქართველები განსაკუთრებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

ქართველი ჯარის-კაცების დიდი უმეტესობა დასავლეთის ბრძოლის ასპარეზზეა.

კავკასიის ასპარეზზე მოქმედებს **მოსული ელემენტი**.

თუ გამართლდა ნაპოლეონის სიტყვები: „მეომარი „სხვის ქვეყანას გულიანათ აოხრებსო“, მაშინ უსაზღვრო უბედურება წარმოგვიდგება.

უწესრიგო-ჯარი, მშიერ-ტიტველი, სამს წელს ომში მყოფი სახლში გაშვების დროს არავის დაინდობს.

მერე ქართველები რითი ვინუგეშებთ თავს?

ჯარის დემობილიზაციის საფრთხის ასაშორებლათ საჭიროა **რეალი ძალა**. ქართული ლაშქარი, რომელმაც ახლა დაიწყო შეკრება ამ მხრით საგრძნობ მოვალეობას იკისრებს.

მაგრამ საფრთხე ისე ძლიერია, რომ მას მცირე რიცხოვანი ქართული ლაშქარი ვერ გააქარწყლებს.

აუცილებელია საქმეს სხვადასხვა ხერხით მოუაროთ.

ამიტომ საჭიროა, რომ ადგილობრივი რკინის გზები ქართველებს გადმოეცეს. სამხედრო მთავრობამ შეასრულოს ქართულ ეროვნულ ორგანოს განკარგულება.

იმ ლაშქრის, რომელიც ამჟამათ ბრძოლის ველზე, **შეიარაღებულათ** უკან წამოყვანა ყოვლად შეუძლებელია.

ამ კითხვის შესახებ უნდა იქმნეს წინასწარი ბჭობა ქართველთა შორის და გამოინახოს რადიკალი ზომა.

სამწუხაროთ და სამარცხვინოთ ჩვენდა ზოგი ჩვენი ქვეყნის შვილები მოსულ ელემენტს ახლავე უნერგავენ მტრობას და შურს ადგილობრივ ხალხისადმი.

ამიერ-კავკასიის დრ. მმართველობის შექმნას რუსეთისადმი ღალატათ აცხადებენ. ამ უმგვანო საქციელს და თავის ერისადმი აშკარა მტრობას მშობლიო ისტორია მსჯავრს დასდებს, მაგრამ ახლა ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ცოცხალი ფაქტიურ მოსალოდნელობას, პროვოკაციით წარმოდგება ყოველგვარი ექსცესი ხოცვა ჟლეტა. აი ამ გარემოების შესახებ გვმართებს დაფიქრება.

განსაცდელი მარტო ქართველებს კი არ მოგველის, იგი საერთო იქნება ყველა კავკასიის ერთათვის.

ერები ვალდებულნი არიან დაუყონებლივ მოილაპარაკონ შინაურობაში და აირჩიონ **ხსენებულ საფრთხესთან** დასახვედრი გზა.

ერებს შორის უნდა იქმნეს თანხმობა, კავშირი და არავის არ უნდა მოუვიდეს ის ბნელი ფიქრი რომ მეჩემს თავს გადავარჩენ და ის კი მეწყერმა „ზიდოსო.

რომ ადგილობრივი მმართველობა თავის დროზე მოწყობილიყო კავკასიაში, მაშინ საფრთხე ნაკლები იქნებოდა.

ახლა საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარდეს კავკასიის ეროვნულ სამმართველოების დაყოფა.

რაც მალე დამკვიდრდება კავკასიაში ცალცალკე ეროვნულ-გამგეობანი გაცილებით ადვილი გახდება ყოველ ანარქიასთან და საფრთხესთან გამკლავება.

ქართველები ერთი წუთითაც ვერ მოვისვენებთ. ამჟამათ, ჯარის დემობილიზაციისათვის თუ მომზადებული არ ვიქენით, თუ ყველა შესაძლო ზომები მიღებული არ გვქნა, ორი მუჭა ქართველობას გალიზიანებულ კალიებისგან წალეკვა მოელის სოფელ ქალაქთ აოხრება.

აქ განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა **ქართულ ეროვნულ მმართველობის** შედგენას.

უნდა დაჩქარდეს ეროვნულ მმართველობის მოწყობა და მის გარშემო რეალ ძალთა შემოკრება.

მეტი დაყოვნება დაღუპვის განმამზადებელია.

ი. დიდიძე.

## ქართული პრესა

გაზ. „სახალხო საქმე-“ში პრ. ჯაჯანაშვილი ეხება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას და შემდეგსა სწერს:

რომელი გაკადნიერდება და იტყვის, საქართველო პირნათლად არ იქცეოდა რუსეთის რევოლიუციის წინაშეო? უკანასკნელ წუთამდე თავის თავის თავზე ზრუნვა დიდ სარევოლუციო დანაშაულებად იყო მიჩნეული, რაღაც გასაოცარის ჯიუტობით საქართველო გვერდს უვლიდა ყველაფერს, რასაც კი შეეძლო დაერღვია მყუდროება რევოლიუციის მშვიდობიანი მსვლელობისა. მიუხედავად ყველა ამისა, ცხოვრება ჩვენზე ძლიერი აღმოჩნდა. ცხოვრებამ არ გამართლა ჩვენი იმედები და ხელოვნურად შეკოწიწებულმა სახელმწიფოებრივმა მექანიზმა რღვევა დაიწყო. ჩვენს წინ დილემმაა გადაშლილი: ან თავი უნდა გამოვარიდოთ რღვევის ამ პროცესს ან ისევ ძველ პოზიციაზე უნდა დავრჩეთ დანება მივცეთ მოზღვავებულ ტალღას თან ჩაგვითრიოს და ჩაგვახრჩოს. ვისაც დღევანდელი რუსეთისა და ფრონტის მდგომარეობა კარგადა აქვს გათვალისწინებული, იმის არჩევანი არ გაუჭირდება. დღევანდელი მდგომარეობა კიდევ დიდხანს რომ გაგრძელდეს, საქართველოს პირდაპირ წალეკავს ერთის მხრით რუსეთში გამეფებული ანარქია და მეორეს მხრით ის საშინელი ტალღა, რომელმაც დემობილიზაციის დროს უნდა გადაიაროს საქართველოში. ამ სტრიქონების დამწერს ხშირად უხდება ტრიალი იმათში. ვისაც ჩვენ რუსეთის განმანთავისუფლებლებს ვეძახით და ძალიან კარგად იცის რა შავბედი ყორანივით დასჩხავის იგი ჩვენს პატარა, უმწეო სამშობლოს. ჩვენს უკან კედელივით არის აღმართული დამშეული, ჩაუცმელი, გაოროტებული ელემენტი, რომელსაც უკვე აღარა აქვს შეგნება იმისა, თუ რა არის კანონიერი და რა—უკანონო. ენერგიული ზომები უნდა იქმნას მიღებული, რათა მოსალოდნელი უბედურების შედეგები, რაც შეიძლება, შევამსუბუქოთ. ერთი მთავარი საშუალებათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში მთელი ძალა უფლება **რეალურად** ქართველების ხელში გადავიდეს. ეს კი მხოლოდ მაშინ განხორციელდება, როდესაც საქართველოს მართვა-გამგეობას თვით ქართველებს ჩააბარებენ და ამასთანავე ერთად მისცემენ იმ **რეალურ** ძალას, რომლის შემწეობითაც შესაძლებელი გახდება წესიერების დაცვა ამ რეალურ ძალად ჩვენ ქართული ჯარი მივვაჩნია. ქართულმა ჯარმა ზურგი უნდა გაუმაგროს ქართველ მთავრობას, რომელიც მიზნად დაისახავს წესიერების დაცვას საქართველოში.

***

გაზ. „ერთობა“ აღნიშნავს, რომ რევოლუციას ბევრი დახავსებული, შეუფერებელი დაწესებულება გადაურჩა, სხვა დაწესებულებებში კი საჭირო განახლება არ მომხდარა:

ყველა ძველი დაწესებულებები უნდა გადასინჯულ იქნას და დაუყონებლივ განიწმინდოს არა საიმედო პირებისაგან და ზოგიც, როგორც მეტი ბარგი, უნდა დაიხუროს; დაიხუროს არა სიტყვით როგორც ეს დღემდე ხდებოდა, არამედ საქმით. ახალმა მთავრობამ გადმოსახლების სამართველო — Переселенческое Управленіе დახურულათ გამოაცხადა, მაგრამ ეს დაწესებულება ამ ჟამათაც დღეგრძელობს მთელი თავისი შტატებით კავკასიის სხვადასხვა კუთხეებში, რასაც აუარებელი ხარჯი სჭირდება.

ბევრი სხვა დაწესებულებაც აღმოჩნდება ამნაირი, რომლების გაუქმება, ან შტატების შეცვლა-შემცირება და საეჭვო პირების განდევნა ნათელზე ნათელია.

## ზავის გამო.

ერთ და იმავე დროს მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ ავსტრო ჰუნგრეთი და ოსმალეთი საზავო მოლაპარაკების დასასაწყებათ მზათ არიან.

ვიცით აგრეთვე, რომ ამიერ კავკასიის დრ. მმართველობას და ოსმალეთის ჯარის მთავარ სარდლის შეთანხმებით კავკასიის ბრძოლის ასპარეზზე წინასწარ ზავი უკვე ჩამოვარდა.

ყველაზე საინტერესო ახლა ის არის, მივყევართ თუ არა ამ მოვლენათ საერთო მშვიდობიანობისკენ? ძნელია ამაზე პასუხი.

ავსტრო-ჰუნგრეთი და ოსმალეთი გერმანეთის კავშირში „უძლურ საფრებათ“ ითვლებოდენ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზავი უფრო უძლურთ დსაჭირდათ, მაგრამ აქ საკითხია აგრეთვე, როგორ გაბედეს გერმანეთის „რკინის კავშირში“ ამ ორმა უძლურმა სეპარატიული ზავზე ცალ-ცალკე მოლაპარაკება. არის მესამე მოსაზრებაც.

სახელდობრ, გერმანელი პოლიტიკაავანგარდათ ზავის ჩამოგდებისთვის ავსტრიას და ოსმალეთს იყენებს.

ამ ხანათ რუსეთთან ზავი გერმანეთს მეტად ეხერხება.

ულაშქრო, უფინანსო უმთავრობო რუსეთს ადვილათ მოაწერინებს ხელს ყოველ გვარ ზავზე.

ამას არც მოკავშირენი აღუდგენიან წინ, რადგან ომის შედეგის მთელი სიმძიმე მათ შორდებათ და რუსეთს დაეკისრება.

დასასრულ განა მოკავშირეთ საბუთი არ აქვთ თავის გამართლებისა? ისინი იტყვიან, რუსეთი თვითონ გავიდა ჩვენი კავშირიდან მან გვიღალატაო.

ბოლშევიკებს უხარიათ, როდესაც მათ საზავო მისია სადმე ნაყოფს იღებს, ჰგონიათ ეგ არის ჩვენმა იდეამ გაიმარჯვაო, მაგრამ ის კი იციან რომ ყველაფერი რუსეთის საზარალო, სავნებლათ დატრიალდება.

თუ ოდესმე ლაპარაკობდენ ზავი რუსეთის ხარჯზე უნდა მოხდეს ეს სწორედ დღევანდელ დღეზე ითქმის.

თავი, რომ დავანებოთ იაპონიის საფრთხეს. რუსეთს შიში მოელის მოკავშირეთაგან, შვეციისგან.

ეს უკანასკნელი ბოლო ხანს ჯარების თავის მოყრას ახდენს და ეტყობა განზრახვა აქვს რუსეთს ძველი ჯავრი ამოიყაროს.

მხოლოდ გულუბრყვილოს შეუძლია იმის თქმა, რომ ახლანდელი ზავი რუსეთს უბედურებას არ უქადისო.

მებრძოლი სახელმწიფონი მთელ ზარალის ანაზღაურებას რუსეთზე დაამყარებენ.

მაგრამ ამაზე შემდეგ.

სერ.

## ეროვნული კითხვა.

**მღელვარება ფინლიანდიაში.**

ფინლიანდიიდან ცნობები აღარ მოდის. ქრისტიანიიდან იტყობინებიან, რომ ფინლიანდიაში მდგომარეობა ფრთოზ აირია. კლასთა შორის ბრძოლა მეტის მეტად გამწვავდა. წითელი გვარდიელები და ჯარის კაცები ყველას სცარცვავენ განურჩევლად, დატუსაღება და ხოცვა ჟლეტა ჩვეულებრივი მოვლენაა.

**ანტირუსული განწყობილება ფინლიანდიაში.**

ფინლანდიელებმა ერთიანად იბრუნეს პირი რუსებისაგან. დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის რუსეთის ჩარევამ ფინლანდიის შინაურ საქმეებში. რუსები თვალის დასანახავადაც კი სძულთ. თავის მძულვარებას ისინი არა ფარავენ და წვრილმანებშიაც კი გამოხატავენ. ყველა პარტიები ერთხმად მოითხოვენ რუსებისაგან გამოყოფვას.

## ბოლშევიკების დიქტატურა.

**ქარხნების „სოციალიზაცია“**

სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტმა დაამტკიცა პენზენის ქარხნის მუშათა დადგენილება, რომ ხსენებული „სარეწველო მუშათა საქარხნო კომიტეტს გადაეცეს. ხარკოვის გუბერნიის ერთ სამაზრო ქალაქში ამის მაგალითი გლეხებს ძალით ხელში ჩაუგდიათ შაქრის ქარხანა, ხოლო ქარხნის პატრონი და ადმინისტრაცია გაუდენიათ.

**ცარიცინში**

ცარიცინის ფოსტა—ტელეგრაფის მოსამსახურეთა კომიტეტმა აცნობა მოსკოვის დამცველ კომიტეტს ტელეგრაფი ბოლშევიკებმა დაიჭირეს და კორესპონდენციაზე კონტროლი შემოიღეს. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთ უარი განაცხადეს მუშაობაზე, ერთი მათგანი მოჰკლეს, დანარჩენები შეიპყრეს. კომიტეტი მოითხოვს დატუსაღებულთა დაუყონებლივ განთავისუფლებას და სამარცხვინო კონტროლის მოსპობას.

**არჩევნების შედეგი**

პეტროგრადი. ნოემბრის 19. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 928364 კაცმა. ბოლშევიკებმა გაიყვანეს 6 კანდიდატი: ლენინი, ზინოვიევი, ტროცკი, კამენევი, კოლონტაი და ჯუღაშვილი (სტალინი). კადეტებმა გაიყვანეს 4 კანდიდატი: მილიუკოვი, ვინავერი, კუტლერი და როდიჩევი. სოციალისტ-რევოლიუციონრებმა გაიყვანეს 2 კანდიდატი: ჩერნოვი და კამკოვი. სხვა სიებიდან არც ერთი კანდიდატი არ გასულა.

**კრასნოიარსკში**

პეტროგრადი. ნოემბრის 15 კრასნოიარსკში პირველობა ხვდათ ბოლშევიკებს, შემდეგ სოციალისტ-რევოლუციონრები მისდევენ, მესამე ალაგი კადეტებმა დაიჭირეს, მეოთხე მენშევიკებმა.

## რედაქციისაგან.

მატარებლების მიმოსვლის შეცვლის გამო, გუშინ სატახტო და თბილისის გაზეთები არ მიგვიღია. არ მიგვიღია აგრეთვე სააგენტოს დეპეშები, რის გამოც ჩვენი გაზეთი დღეს ორ გვერდზე გამოდის.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

ჩვენ თანამოაზრე სტუდენტებს, განურჩევლათ სქესისა, ვთხოვთ შემოიარონ დღეს, დილის 10 საათზე ჩვენ რედაქციაში ფრიად საჭირო საქმეებისათვის.

**მოხსენება ევგ. გეგეჭკორისა** 24 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, სოც.-დემოკრატების კლუბში ამიერ კავკასიის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა დამსწრე საზოგადოებას გაუკეთა მოხსენება დღევანდელი მომენტისა და კავკასიის მთავრობის შედგენის შესახებ. გეგეჭკორმა სთქვა, რომ კავკასიის მთავრობის შედგენა გამოიწვია იმან, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვსცნოთ „მთავრობათ ბოლშევიკები და მეორე იმან, რომ ამიერკავკასია მოსწყდა რუსეთის ცენტრს, აქ მოუწესრიგებელია საფინანსო, სასურსათო, სანტრანსპორტო და სხვა საკითხები რომლის მოწესრიგება უნდა თავს იდვას ამიერ-კავკასიის მთავრობამ. გეგეჭკორი საზოგადოებამ ტაშის ცემით დააჯილდოვა. მოკამათეთ გამოვიდენ ბოლშევიკები. იმათმა კავკასიის მთავრობას სეპარატისტობა დასწამა და ასეთ მძიმე დროს ცენტრზე ჩამოშორება კონტრ-რევოლუციონერათ მონათლეს. გეგეჭკორმა მათ შესაფერი სიტყვებით უპასუხა.

**ეროვნული ყრილობის დასრულება.** თბილისში ქართული ეროვნული ყრილობა უკვე დასრულდა. ქუთაისიდან გამგზავრებული დელეგატები უკვე დაბრუნდენ.

✦ **ბრძანება.** ქუთაისის გუბერნიის კომისარმა მაზრების კომისრებისა და სარაიონო სასურსათო კომიტეტის საყურადღებოთ ბრძანება გასცა, რომ თვალ ყური ადევნონ, რათა სხვა და სხვა პირებმა სურსათ სანოვაგე მოგების წყურვილით სპარსეთში არ გაზიდონ.

✦ **გაფიცვა.** ამას წინათ, როგორც ჩვენს გაზეთში მოთავსებული გვქონდა, ქალაქის სხვა და სხვა დარგის მუშებმა ქალაქის გამგეობაში მოთხოვნილება წარუდგინეს, რომ მათთვის ჯამაგირები მოემატებინათ. ქალაქის გამგეობამ საშვალება ვერ გამონახა, რომ მათი მოთხოვნილება დაეკმაყოფილებიათ. ამის გამო გუშინ, 25 ნოემბერს დილიდანვე ქალაქის მუშები გაიფიცენ. გაფიცვა მოახდინეს აგრეთვე ცეცხლის მქრობელი რაზმის მუშებმაც.

✦ **ქალაქის საბჭო** ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომა მოხდება 25 ნოემბერს, რომელზედაც არჩეულ იქნება ქალაქის მოურავის მოადგილე ნაცვლად მ. ბასილაიისა.

✦ **საქონლის ჭირთან ბრძოლა.** მთავარ საზეითლო სამართველომ ქალაქის თვითმართველობიდან მიიღო, პირობები, რო საღორიის აგარაკზე, სასაკლაოს გვერდით მოაწყოს ჭირიანი საქონლის ასაცრელი სადგური. ამ სადგურის მოწყობა და გამგეობა მიენდო ზეითალ მიხეილ ფარცვანიძეს, რომელმაც ამ საქმებისათვის უკვე მიიღო 300,000 მანეთი. სადგურის აგებას ამ დღეებში შეუდგებიან.

✦ **პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის გარშემო** დროებითი მთავრობის განკარგულებით პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლები უნდა გადავიდეს ქალაქის თვითმმართველობების ხელში, ამის გამო სამოსწავლო უწყების ქუთაისის გუბერნიის კომისარმა მგელაძემ ქალაქის თვითმმართველობას მიმართა, რომ დანიშნოს კომისია, რომელიც სამოსწავლო უწყებისა და სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლების თანადასწრებით ჩაიბარებს პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლებს. ქუთაისში რამდენიმე პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელია.

✦ **პურის ბარათების შესახებ.** ქუთაისში პურის ბარათები ამ თვის პირველ რიცხვებში დარიგდა, როგორც გამოირკვა ბარათებში ოჯახების წევრთა რიცხვი ჭრთი ორათ ყოფილან შეტანილი. ამისთვის ქუთაისში დიდძალი პური იხარჯება. საგუბერნიო კომიტეტმა მოწოდება გამოსცა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 1 დეკემბრამდის სარაიონო სასურსათო კომიტეტებში წარადგინონ სწორი ცნობებით, თუ მათ ოჯახებში რამდენი წევრი იმყოფება. ვინც სწორ ცნობებს არ მიაწვდის, ისინი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული.

✦ **კრება.** დღეს 26 ნოემბერს, საღამოს 4 საათზე, საფიჩხიის სამრევლო შკოლის ეზოში დანიშნულია დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება.

✦ **აღმასრულებელ კომიტეტში.** ქუთ. საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სხდომა მოხდება ხვალ, 27 ნოემბერს.

✦ **საქონლის ჭირი.** თბილისის გუბერნიის კომისარი ატყობინებს ქუთაისის გუბერნიის კომისარს, რომ ტრაპეზუნდის რაიონში გაჩენილა საქონლის ჭირი, ამისთვის საჭიროა ზომები მიიღოს სასანიტარო აღმასრულებელმა კომისიამ, რომელსაც დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივ საზოგადო და სარევოლუციო ორგანოების წარმომადგენლებმაო.

✦ **ადგილობრივი შალი.** სრულიად კავკასიის საოლქო სასრუსათო კომიტეტი სთხოვს ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტს ნება მისცეს გ. ფიცხელაურს ქუთაისის გუბერნიიდან ქ. ორენბურგში გაზიდოს 300 ნაჭერი ადგილობრივი შალისა.

✦ **კვირას, 26** ნოემბერს საღამოს ხუთ საათზე ქალაქის სამკითხველოში დანიშნულია ქალთა საზოგადო კრება ძლიერ საჭირო კითხვებზე. ვთხოვთ ყველა ქუთაისის ქალებს განურჩევლათ პარტიული რწმენისა დაგვესწროთ.

**პროვინცია**

**ქ. ჭიათურა.** დაარსდა ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოება.

**დ. საჩხერე.** დაარსდა ვაჭარ მრეწველთა საზოგადოება.

## ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია.

**რგანი.** აქ დაარსდა ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია. აირჩიეს კომიტეტი, იქირავეს ბინა. კომიტეტის წევრები ყველანი გლეხები არიან.

**კაცხი.** დაარსდ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია. არჩეული კომიტეტი, რომლის წევრები ყველანი გლეხები არიან. ჯერ-ჯერობით წევრთა რიცხვი 400 მდე ადის გლეხობა ძლიერ დაინტერესებულია პარტიით და ყოველ დღე ეწერება.

**დ. საჩხერე.** დაარსდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაცია.

## საქართველოს თავისუფლება
### და მოსწავლეთა მანიფესტაცია.

ახალგაზრდობა სინაზე-სისპეტაკით გვრიტებსა გავს და სიხარულის გრძნობით გაზაფხულის მერცხლებსა. მკვდარი და დამონებულია ის ოჯახი, ის სახლი, სადაც ბავშვები არ არიან დაღვრემილ და დადარდიანებულ დედ-მამას ამ მწარე ნაღველს ოჯახის გამხარებელნი, პატარა, ცუგუმელა გოგუცუნა-ბიჭინიები უქარვებენ. და თუ ამ ოჯახს, ბედნიერება ეწვია და ყველა მისი წევრი სიხარულის გუნებაზეა, მაშინ ხომ ბავშვების სიხარულს საზღვარი არ აქვს და ამ საერთო სიხარულს ერთი ათად აორკეცებენ. ყოველივე ეს თუ საზოგადოთ ყველა ბავშვებზე ითქმის, მით უმეტეს ამისი თქმა მოსწავლე ახალგაზრდობაზე შეგვიძლია ვსთქვათ. ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა ყოველთვის გაზაფხულის მოჭიკჭიკე და თავისუფლების მახარობელი მერცხალი იყო საერთო საქართველოს ოჯახისა. საუკუნოებით დაგროვილ დარდსა, ჭირსა და ვარამსა, ჩრდილოეთიდგან მოვლენილსა, ყოველთვის ეს გვრიტები უქარვებდნენ საქართველოსა. მართალია, მძიმე პირობებში უხდებოდათ ჩვენი გაზაფხულის მერცხლებსა ჭიკჭიკი და გალობა სანეტარო თავისუფლებაზე, მაგრამ იგინი ყოველთვის ახერხებდნენ პატარა ჭუჭრუტანა მაინც მოენახათ და ჩვენი დაკოდილი გულის სიღრმემდის მიეწვდინათ ხმა სანეტარო და საამური. დროთა მსვლელობის მიხედვით, ეს ხმა თანდათან ძრიელდებოდა და ბოლოს ამ ხმამ მონობის ბორკილები დაგლიჯა, საუკუნო უფსკრულში ჩააგდო და დიდებულ რუსეთის რევოლუციას შეუერთა ქართველი ხალხის გულის სიღრმიდგან ამონაკვნესი ბოღმა-მწუხარება. ამ რევოლუციამ ეს ბოღმა-მწუხარება სიხარულათ შესცვალა და ქართველ ხალხს თავისუფლება აუწყა. რევოლუციის პირველ დღეებში ეს თავისუფლება სრული არ იყო და ამის მოთავება და სანეტაროთ და სასურველად დასრულება 19 გიორგობისთვემ იდვა თავზე ჩვენ დედა-ქალაქ თბილისში.

ჯერ ეს თავისუფლება ოფიციალურათ გამოცხადებული არ არის, მაგრამ მას ოლღო ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ უკვე აუღო და მის გამო ზეიმობს და ხარობს. რა სასიამოვნო სანახავი იყო 23 და 24 ამა თვეს დასავლეთ საქართველოს დედა ქალაქის ქუჩები კოპწიათ გამოწყობილი აუარებელი ქალ ვაჟი, ილლიაში წიგნებით, მწყობრათ დაწყობილი, მუსიკით და ეროვნული სიმღერებით ქუჩა-ქუჩა დაიარებოდნენ და ასი წლის განმავლობაში თავისუფლებას მოკლებულ ქუთაისის მიდამოებს, მჩქეფარე და მრისხანე რიონის ნაპირებს საქართველოს მკვდრეთით აღდგომას ახარებდნენ.

იჭიკჭიკეთ და იხარეთ, ჩვენო მერცხლებო, მაგ თქვენი ჭიკჭიკი ჩვენ გულს გვიტკბობს, წყლულს გვისპობს და ჩვენც სამოქმედოთ გვიწვევს...

**მ. ბუაჩიძე.**

## ამიერ-კავკასიის კომისარიატის მოწოდება
### კავკასიის ფრონტის ჯარებისადმი.

**ამხანაგებო!** პეტროგრადში მომხდარმა ამბოხებამ გაიმარჯვა დროებით მთავრობაზე და სახალხო კომისრების მთავრობა შექმნა. ფაქტიურად რუსეთის სახელმწიფო უმთავრობოდ დარჩა. სახალხო კომისრების საბჭო განსაკუთრებით ბოლშევიკების წარმომადგენელთაგან შესდგება. მეთაურად მას ლენინი და ტროცკი უდგანან. რუსეთი მათ მთავრობას არ სცნობს არც თუ უცხო სახელმწიფოებმა იცნეს მათი მთავრობა.

ცენტრალ მთავრობის უქონლობამ ცნობების შეწყვეტამ მძიმე გავლენა დააჩნია განსაკუთრებით ამიერ კავკასიის მხარეს. ხანასა და შველას ითხოვენ კავკასიის მცხოვრებნი და ლაშქარი. მათ სურთ თავიდან აიცილონ ფინანსიური განადგურება, ცარცვა გლეჯა და ანარქია. აი ამ სურვილმა უკარნახა დემოკრატიისა და ამიერ-კავკასიის ჭრელ სხვადასხვა ორგანოებს მთავრობის თავიანთი ხელში აღება. ამ მიზნით შესდგა ამიერ კავკასიის კომისარიატი. რომელშიაც შედიან ამიერ კავკასიის ერთა და რევოლიუციურ პარტიების წარმომადგენლები.

იგი პასუხისმგებელია ცენტრალ რევოლუციურ ორგანოების წინაშე. ეს მთავრობა, კომისარიატი, შედგენილია დროებით, დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ანდა ვიდრე რუსეთის რესპუბლიკაში ისეთი ცენტრალი მთავრობა დაარსდება, რომელსაც ყველანი მიიღებენ.

ამხანაგებო! ამიერ კავკასიის კომისარიატი მუდამ კავშირს იქონიებს საერთოდ რუსეთთან და ისე იმოქმედებს, იგი გამოხატავს ხალხისა და მასსის ნდობას. კომისარიატს სწამს, რომ რევოლუციური ჯარები ყურს არ მიაპყრობენ რევოლუციის, და ხალხის უფლებათა შეგნებულ თუ შეუგნებელ მტრების მიერ გავრცელებულ პროვოკაციას და მხარს დაუჭერენ კომისარიატს. ამით ისინი დაეხმარებიან წესიერების დაცვაში და ამიერ კავკასიას ფინანსიურ განადგურებიდან იხსნიან.

გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ თქვენს შეგნებაზეა დამყარებული ბედი ჩვენის დიდი რევოლუციისა და მთელ სამშობლოისა.

**ამიერ კავკასიის კომისარიატი.**

## პატარა ფელეტონი.

(სოფლის შთაბეჭდილება).

დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნები რომ ხდებოდა, სოფლათ გავიარე. სასოფლო სასამართლოს ეზოში, სადაც მთელს სოფელს მოეყარა თავი, დიდი ამბავი იყო. ქალი და კაცი, ბავშვებიც კი დღევანდელ მომენტის შესახებ საუბრობდნენ დინჯათ, წყნარადა და თავისებურ დასკვნებს უკეთებდა რთულსა და დიდ საკითხებს. სასამართლოს დერეფანზედ ორი ახალგაზრდა გადმომდგარიყო და რიგ-რიგობით გვარსა და სახელს კითხულობდა სიიდან. ხალხი გულმოდგინეთ შესჭყურებდა ამ პირთ და თავის მოვალეობას ასრულებდა. ერთის გადახედვით იგრძნობდით, რომ ამ ხალხში, ერთსულოვნება და სოლიდარობა უნდა ყოფილიყო. აზრთა სხვადასხვაობას აქ ადგილი არ უნდა ქონოდა და, როდესაც ამის მიზეზი მინდოდა გამეგო, მე დაუახლოვდი ერთს ჯგუფს, სადაც ერთი ევროპიულათ ჩაცმული ხალხს ესაუბრებოდა. მისი სიტყვები ხალხის გულს ხვდებოდა, და ისიც კმაყოფილი განაგრძობდა თავის სიტყვას. ყოველს შეკითხვაზედ ევროპიულათ ჩაცმული თავისებურ განმარტებას იძლეოდა. როდესაც თავის სიტყვა დაასრულა მან წასვლა დააპირა და უკანასკნელათ მიმართა ხალხს, რომ სხვა პარტიის კაცი აქ არ შემოეშვათ სალაპარაკოთ, რომ ამით მყუდროება და სოლიდარობა არ დაერღვიათ, და აქაც ისეთი ამბავი არ მომხდარიყო, როგორც რუსეთში მოხდაო.

— „ღმერთმა დაგვიფაროს განხეთქილება, რა გვაქვთ საჩხუბარი, და რუსეთში თუ განხეთქილება აქვთ ეს ჩვენთვის რა მაგალითიაო, სთქვა ერთმა მსმენელთაგანმა, შეიძლება იმათ სხვა კანონებიც კი უნდოდეთ, ეს ჩვენ არ ვიცით, ჩვენ ჩვენი აზრი და ზნე ჩვეულება გვაქვსო“, დაუმატა მან. „რასაკვირველია, ბატონო, ჩამოართვა სიტყვა მეორემ, რუსის ხალხისთვის ჩვენ სიკეთე გვინდა, მაგრამ მათი გულისთქმას ჩვენ ვერ შევწვდებით, და ისინი კიდევ ჩვენსას, რუსეთში თურმე, ისეთი პარტიაც კი აღმოჩენილა, რომელიც მიწაზედ საკუთრებას სპობს და მისას და სხვისას ერთმანეთში ურევს, მეზობელი მეზობლს არ უნდა მოეხმაროს, არ უნდა მიქირავდესო. ვინც მიწას მუშაობს, საშვილიშვილოდ მიწა უნდა იმუშაოს, თორემ თუ რომელიმე ოჯახის წევრმა რამე სხვა საქმეს ხელი მოჰკიდა, თუნდაც ცოტა ხნით, თავისა და მის ოჯახის ნაჭირნახულევი ეზო გარამოს, ვენახსა და ბაღჩას უნდა გამოეთხოვოს. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ რუსეთში არ ვცხოვრობთ, და ასეთ მქადაგებელთ არ ვუსმენთ, თორემ ვინ იცის, რამდენ გზა დაბნეულს გადაეცდენდნენ ჭკუიდანაო. ამბობენ, რუსეთში კიდეც ბევრი გადაუცდენია ასეთ მქადაგებელთა, მაგრამ ჩვენ რა, ჩვენთვის კანონები ჩვენ ქვეყანაში დაიწერება, და იმათ კი როგორც ამჯობინონ ისე მოიქცენ“.

„რას ამბობ კაცო, სთქვა კიდევ მესამემ, როდესაც ძველი მთავრობა ერთს კანონს უწერდა ყველას, ყოველი რჯულის კაცს, მიტომაც იყო ჩვენი ცხოვრება მონობის მსგავსი, თორემ ეხლა, როდესაც ღმერთმა თავისუფლება გვაჩუქა, აწი მაინც არ წავალთ რუსეთში კანონის საძებნელათ. თორემ იქ რომ კანონი დაიწერება და ჩვენ არ გამოგვადგება. რა უნდა ვქნათ მაშინ... ჩვენი კანონი ჩვენში თუ არ დაიწერა, ის ჩვენ არ გამოგვადგება“ — „რასაკვირველია, არ გამოგვადგება, ჩაერია კიდევ სხვა.

მე ვყოფილვარ რუსეთში და მინახავს იქაური მოტიტვლებული მინდორ-ველები, ერთ ხეს ვერ დაინახავთ და ასეთი ქვეყნის ხალხი ვინ იცის რა ჭკუაზედ დადგება, და მათთვის დაწერილი კანონი ჩვენ რომ არ გამოგვადგება, ამას რა დამტკიცება უნდა. ჩვენი კანონი ჩვენში რომ დაიწეროს ამის წინააღმდეგი რუსებს არაფერი ექნებათ, და თუ დღემდის მათთან ძმურათ ვცხოვრობდით მომავალში უფრო არ ვიცხოვრებთ, როდესაც ორივენი კმაყოფილი ვიქნებოდითო“.

ამ ლაპარაკში ევროპიულათ ჩაცმული უკვე ცხენზედ შემჯდარიყო. და ერთხელ კიდევ მიმართა ხალხს დარიგებით, თუ მათ უნდათ ყველაფერი ისე იქნეს, როგორც ისინი ლაპარაკობენ, ხმა უნდა მისცენ მხოლოთ სიას №1-ს და არამც და არამც სხვა პარტიის სიას არ მისცეთ ხმა რადგანაც ისინი მათ სურვილების წინააღმდეგი არიანო. იცოდეთ მხოლოდ ერთათ ერთი პარტია ს. დ. და თქვენ ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. „გაუმარჯოს პირველ ნომერს-ო“ შესძახა მან. „გაუმარჯოს, გაუმარჯოს“-ო, იყო პასუხი. მე კი მწარეთ ჩამეცინა და ცხენოსანს თვალი გავაყოლე, მხოლოდ გული კი იმედებით ამევსო, ხალხის გულის თქმა, რომ გავითვალისწინე.

**გრ. ხ.**

## ზავის გარშემო.
### ზავი გერმანეთთან.

**პეტროგრადი** გიორგობისთვის 21. ნოემბრის 16-ს 11 საათზე დროებით ზავის ჩამოსაგდებლად არჩეული დელეგაცია მივიდა დვინსკში. დელეგატები მიიწვიეს მეხუთე ლაშქრის ყრილობაზე. კამენევის, სოკოლნიკოვის, ვიცენკოს და და მსტისლავსკის სიტყვას დიდის ოვაციებით შეხვდნენ. 14 საათზე დელეგატები გავიდნენ ჩრდილო დასავლეთის რკინის გზიდან 514 ვერსით და 17 საათზე მათ ნეიტრალ ხაზზე შეეგებნენ გერმანელების დელეგატები.

**დელეგატების გაგზავნა.**

**პეტროგრადი.** ნოემბ. 19. დროებითი ზავზე მოსალაპარაკებლად ფრონტზე გუშინ გაემგზავრა საგანგებო დელეგაცია, რომელშიაც შედიან კამენევი, სოკოლნიკოვი, ვიცენკო, მსტისლავსკი, სტაშკოვი, აგრეთვე მეზღვაურთა, ჯარისკაცთა და მუშათა წარმომადგენლები, მთავარ შტაბის პოლკოვნიკები შიშკინი და სტანისლავსკი. მდივნად კარახანი.

**შეიდემანის განცხადება.**

**პეტროგრადი.** ნოემბრის 21. დრეზდენში სოციალ დემოკრატების ლიდერმა შეიდემანმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც აღნიშნა, მთელი ქვეყნის ყურადღება დღეს რუსეთზეა მიქცეულიო. შეიდემანმა განაცხადა მშრომელი კლასების გამარჯვება დამოკიდებულია რუსეთში ზავისადმი მიდრეკილების გაძლიერებაზე, ამიტომ გერმანეთი უნდა ეცადოს ისეთი ზავი ჩამოაგდოს, რომ არც ერთი ერი არ დაიჩაგროსო. მიღებული რეზოლუცია მოითხოვს რაიხსტაგმა ისეთი საზავო პირობები შეიმუშავოს, რომელიც არ იგულისხმებს სამეურნეო, ფინანსიურ და პოლიტიკურ ანექსიებს.

**შვედელ ელჩის განცხადება.**

ნოემბრისთვის 15-ის „რანნე-უტრო“ გადმოგვცემს: შვედელთა ელჩს ჩვენს კორესპონდენტისათვის უთქვამს ხმები, ვითომც გერმანეთი მზად იყოს საზავო მოლაპარაკების დასაწყებად — სინამდვილეს მოკლებულია.

**კლემანსოს აზრი.**

**პეტროგრადი.** ნოემბ. 19. „ვინერაბენდპოსტ“-ს ცნობით, კლემანსოს უთქვამს: ბოლშევიკებმა შეარხიეს ნელაბი და ყველას ნამდვილ სახით წარუდგნენ. მათ გერმანულ ზავის ჩამოგდება სურთ. [illegible] უკვე [illegible]. [illegible] გერმანულ ზავის შეკავას ვიდრე ამერიკელი ჯარი [illegible]. [illegible] ნამდვილი მიზანი უნდა იყოს: გაძლიერებული ფრონტის შერჩენა, შემზადება შეტევისათვის და შეტევა ამერიკელ ჯარების ჩამოსვლისთანავე.

**ზავი ოსმალეთთან ამიერ-კავკასიის კომისარიატისაგან**

12 ლაშქრისა და მცხოვრებთადმი.

კავკასიის ლაშქრის მთავარსარდალმა დროებით ზავის ჩამოგდების შესახებ წინადადება მიიღო ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდლისაგან. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების ცენტრთან და კავკასიის ფრონტის მთავარსარდალთან შეთანხმებით გადასწყვიტა მიიღოს ეს წინადადება და შეუდგეს მოლაპარაკებას დროებითი ზავის შესახებ.

ამიერ-კავკასიის კომისარიატმა იკისრა ამ მძიმე საკითხის გადაწყვეტა, რადგან დღეს არსებობს ერთი ცენტრალი მთავრობა, ხოლო სამოქალაქო ომმა მთავარბანაკი გაჰფანტა. ჩვენ, რომელთაც კავკასიის ცენტრების დავალებით ხელთ ავიღეთ ძალა-უფლება, — დავსდეთ პირობა რომ კავკასიის ჯარი არც ერთ მეტ წუთსაც კი არ იომებს და ყოველთვის დაიცავს რუსეთის ფრონტის მთლიანობას. ეს ჩვენი პასუხი ემცნო ოსმალეთის მთავარსარდალს და ინგლისელთა მესოპოტამიის არმიას.

ჩვენს სიდინჯესა და შეკავშირებაზეა დამოკიდებული რევოლუცია სამშობლოსა და მომავალ თაობათა ბედი.

დროებით ზავის შემდეგ შეიკრიბება დამფუძნებელი კრება, რომელიც საზავო პირობებს შეიმუშავებს. პირობები დემოკრატიული იქნება. იგი წარედგინება ყველა მებრძოლთ ომმა წარმოშვა რევოლუცია: დიდი რევოლუცია ბოლოს მოუღებს ომს.

ამხანაგებო, ჯარისკაცნო და ოფიცრებო! ერთი ნაბიჯი-ღა დარჩა. ვაჟკაცურად და მედგრად დაიცავით თქვენი პოზიციები, რადგან ფრონტის აშლა მოლაპარაკების შესაძლებლობას მოსპობს.

ამიერ-კავკასიის მოქალაქენო! თქვენ უნდა ეცადოთ, რომ დროებითი ზავის დროს ფრონტს ჰქონდეს ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა. მედგრად მუშაობისაკენ ახალ ცხოვრებისაკენ. რომლის განთიადი უკვე დაგვიდგა.

ხელს აწერენ **ამიერ-კავკასიის კომისარიატის ყველა წევრები.**

**პრჟევალსკის პასუხი ოსმალეთის ლაშქრის უფროსისადმი**

გთხოვთ პარლამენტიორის პირით გადასცეთ ოსმალეთის მე 3 ლაშქრის უფროსს, ფერიკ-ვეჰიბი გამედ-ფაშას, ჩემი პასუხი მის წერილზე: თქვენი წერილი, ბატონო გენერალო, რომელმაც დროებითი ზავის წინადადებას იძლეოდით, მივიღე და ვჩქარობ გაუწყოთ, რომ მე მზად ვარ მივიღო თქვენი ჰუმანიური წინადადება. ამ მიზნით წინადადებას ვაძლევ ჩვენს ორთავე ლაშქარს, რომელნიც ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძვიან კავკასიის ფრონტზე, შეწყვიტონ საომარი მოქმედებები, არავითარი სტრატეგიული გადაჯგუფება არ მოახდინონ, იმავე პოზიციებზე დარჩნენ, რომელნიც ახლა უკავიათ და მოუცადონ დროებითი ზავის ჩამოგდებას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ თანახმა ხართ ამ პირობებზე, წინადადებას გაძლევთ, თქვენგან პასუხის მიღებისთანავე, მოვიწვიოთ ოსმალეთისა და რუსეთის ლაშქრის წარმომადგენლებისაგან საგანგებო კომისია, რომელიც დაწვრილებით შეიმუშავებს დროებითი ზავის პირობებს. ჩვენი მიწერ-მოწერის შესახებ მოვალედ ვსთვლი ჩემს თავს ვაცნობო ინგლისის ლაშქრის უფროსს მესოპოტამიაში. დარწმუნებული იყავით, გენერალო, ღრმად პატივისცემით რომელიც თქვენდამი ვგრძნობ.

კავკასიის ფრონტის ჯარების მთავარსარდალი გენერალ პრჟევალსკი.

კავკასიის ფრონტის ჯ. შტაბის უფროსი გენ-მაიორი ლებედინსკი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ბ. კვირკველია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში